

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარი"

ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	18
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	18
5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
6 ძირითადი საშუალებები	19
7 არამატერიალური აქტივები	20
8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
9 საკუთარი კაპიტალი	20
10 საკომისიო, საწევრო და სხვა საოპერაციო შემოსავლები	21
11 ხელფასის ხარჯი	21
12 იჯარის ხარჯი	21
13 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	21
14 სხვა საოპერაციო ხარჯი	22
15 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	22
16 პირობითი ვალდებულებები	22
17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	23
18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
19 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	27
20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

**სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"**

**ფინანსური ანგარიშგება**

**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

**თანხები მოცემულია ლარში**

---

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ვალერიან დავითაია

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

---

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ვალერიან დავითაია



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა****სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" აქციონერებს****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

2003 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალში განხორციელდა არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების შეტანა, რომელთა აღიარება მოხდა შეფასებული ღირებულებით, რაც შეადგენდა 85,000 ლარს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება კაპიტალის აღნიშნული თანხით ზრდის დასადასტურებლად. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შესაძარის ციფრებთან მიმართებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

**მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკლება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

### მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 01 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	274,258	364,133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	72,447	59,636
საგადასახადო აქტივი		3,987	9,953
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>350,692</b>	<b>433,722</b>
ძირითადი საშუალებები	6	1,912	1,783
არამატერიალური აქტივები	7	903,145	980,929
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>905,057</b>	<b>982,712</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>1,255,749</b>	<b>1,416,434</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	110,643	2,169
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>110,643</b>	<b>2,169</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>110,643</b>	<b>2,169</b>
სააქციო კაპიტალი	9	598,910	598,910
საემისიო კაპიტალი	9	1,316,293	1,316,293
გაუნაწილებელი მოგება		(770,097)	(500,938)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,145,106</b>	<b>1,414,265</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>1,255,749</b>	<b>1,416,434</b>

კალერიან დავითაია

ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	274,258	364,133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	72,447	59,636
საგადასახადო აქტივი		3,987	9,953
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>350,692</b>	<b>433,722</b>
ძირითადი საშუალებები	6	1,912	1,783
არამატერიალური აქტივები	7	903,145	980,929
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>905,057</b>	<b>982,712</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>1,255,749</b>	<b>1,416,434</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	110,643	2,169
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>110,643</b>	<b>2,169</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>110,643</b>	<b>2,169</b>
სააქციო კაპიტალი	9	598,910	598,910
საემისიო კაპიტალი	9	1,316,293	1,316,293
გაუნაწილებელი მოგება		(770,097)	(500,938)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,145,106</b>	<b>1,414,265</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>1,255,749</b>	<b>1,416,434</b>

ვალერიან დავითაია



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024



სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	10	812,408	612,747
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	14,028	15,071
<b>სულ შემოსავლები</b>		<b>826,436</b>	<b>627,818</b>
ხელფასის ხარჯი	11	(430,750)	(401,777)
ცკეთა და ამორტიზაცია	6,7	(79,225)	(79,030)
იჯარის ხარჯი	12	(42,173)	(20,847)
საკონსულტაციო ხარჯი		(7,100)	(8,600)
სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვის ხარჯი		-	(229)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	13	(2,540)	(14,832)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება		3,525	(4,267)
სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(241,674)	(90,070)
ფინანსური შემოსავალი		3,347	3,184
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
<b>მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>		<b>29,846</b>	<b>11,350</b>
<b>მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>		<b>29,846</b>	<b>11,350</b>
<b>შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე</b>			
საბაზისო და გაზავებული	15	0.05	0.02

ვალერიან დავითაია

ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	10	812,408	612,747
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	14,028	15,071
<b>სულ შემოსავლები</b>		<b>826,436</b>	<b>627,818</b>
ხელფასის ხარჯი	11	(430,750)	(401,777)
ცკეთა და ამორტიზაცია	6,7	(79,225)	(79,030)
იჯარის ხარჯი	12	(42,173)	(20,847)
საკონსულტაციო ხარჯი		(7,100)	(8,600)
სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვის ხარჯი		-	(229)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	13	(2,540)	(14,832)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება		3,525	(4,267)
სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(241,674)	(90,070)
ფინანსური შემოსავალი		3,347	3,184
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
<b>მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>		<b>29,846</b>	<b>11,350</b>
<b>მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>		<b>29,846</b>	<b>11,350</b>
<b>შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე</b>			
საბაზისო და გაზავებული	15	0.05	0.02

ვალერიან დავითაია



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნა	2023	2022
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		818,734	615,425
თანამშრომლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		226	100
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(609,663)	(524,158)
მიღებული პროცენტი		3,624	2,908
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>212,921</b>	<b>94,275</b>
დივიდენდის გაცემა		(299,005)	-
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>(299,005)</b>	<b>-</b>
<b>წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში</b>		<b>(86,084)</b>	<b>94,275</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		364,133	284,898
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(3,791)	(15,040)
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>4</b>	<b>274,258</b>	<b>364,133</b>

ვალერიან დავითაია

ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ფინანსური დირექტორი


სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"


თარიღი: 01 აპრილი, 2024

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		818,734	615,425
თანამშრომლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		226	100
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(609,663)	(524,158)
მიღებული პროცენტი		3,624	2,908
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>212,921</b>	<b>94,275</b>
დივიდენდის გაცემა		(299,005)	-
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>(299,005)</b>	<b>-</b>
<b>წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში</b>		<b>(86,084)</b>	<b>94,275</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		364,133	284,898
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(3,791)	(15,040)
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>4</b>	<b>274,258</b>	<b>364,133</b>

ვალერიან დავითაია   
 გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

  
 ნინო ქურდიანი  
 ფინანსური დირექტორი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>598,910</b>	<b>1,316,293</b>	<b>(512,288)</b>	<b>1,402,915</b>
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	11,350	11,350
<b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>598,910</b>	<b>1,316,293</b>	<b>(500,938)</b>	<b>1,414,265</b>
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	29,846	29,846
გაცემული დივიდენდი	-	-	(299,005)	(299,005)
<b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>598,910</b>	<b>1,316,293</b>	<b>(770,097)</b>	<b>1,145,106</b>

ვალერიან დავითაია

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

თარიღი: 01 აპრილი, 2024

ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი

ss "saqarTvelos fasiani qaRaldebis centraluri depozitari"

finansuri angariSgeba

2023 wlis 31 dekembriT dasrulebuli wlisaTvis

Tanxebi mocemulia larSi

kapitalSi cvlilebis angariSgeba

		saaqcio kapitali	saemisic gaunawilebeli kapitali	gaunawilebeli mogebs	sul kapitali
<b>naSTi 2021 wlis</b>	<b>31 dekembris mdgomareobiT</b>	598,910	1,316,293	(512,288)	1,402,915
wlis mogeba/(zarali)		-	-	11,350	11,350
<b>naSTi 2022 wlis</b>	<b>31 dekembris mdgomareobiT</b>	598,910	1,316,293	(500,938)	1,414,265
wlis mogeba/(zarali)		-	-	29,846	29,846
gacemuli dividendi		-	-	(299,005)	(299,005)
<b>naSTi 2023 wlis</b>	<b>31 dekembris mdgomareobiT</b>	598,910	1,316,293	(770,097)	1,145,106

valerian daviTaia

generaluri direqtoris movaleobis Semsrulebeli

ss "saqarTvelos fasiani qaRaldebis centraluri depozitari"

TariRi: 01 aprili, 2024

nino qurdiani

finansuri direqtori

## სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

### 1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 1999 წლის 11 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველა გამზ., N71, ოფისი N7, სართული 7, ბლოკი 10, თბილისი. კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია ვალერიან დავითაია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალური ფორმით.

კომპანიის დამფუძნებელია სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" ("დამფუძნებელი").

2016 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 304,499 აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასი შეადგენდა 3.623 ლარს, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 304,499 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 798,701 ლარით. ახალი გამოშვებული აქციები სრულად შეიძინა სს "თბილისის საფონდო ბირჟამ" ჯამური ღირებულებით 1,103,200 ლარი.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა დამატებით 193,211 აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასი შეადგენდა 3.623 ლარს, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 193,211 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 506,792 ლარით. ახალი გამოშვებული აქციები სრულად შეიძინა სს "თბილისის საფონდო ბირჟამ" ჯამური ღირებულებით 700,003 ლარი.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 16.7% წილის მფლობელია სს "საქართველოს საფონდო ბირჟა", 83.10%-ს ფლობს სს "თბილისის საფონდო ბირჟა", ხოლო 0.20%-ის სხვა აქციონერები. თავის მხრივ, სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" ფლობს სს "თბილისის საფონდო ბირჟის" აქციათა 27.42%-ს და შესაბამისად არაპირდაპირი გზით დამატებით ფლობს კომპანიის აქციების 22.77%-ს.

#### ძირითადი აქციონერები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	16.70%	16.70%
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	83.10%	83.10%
სხვა აქციონერები	0.20%	0.20%
	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

### 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### 2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმუნით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მეთხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.2 საქმიანობის სპეციფიურობა

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, კომპანია უზრუნველყოფს ანგარიშსწორების სერვისს თავისი მომხმარებლისთვის, რომელიც მოიცავს ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციებს მომხმარებლის საკუთარ და კლიენტების ნომინალური მფლობელობის ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე. ამ საქმიანობის ფარგლებში მიღებული აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები არ აღიარდება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან კომპანია ამ საქმიანობიდან საკუთარ თავზე იღებს მხოლოდ საოპერაციო რისკებს. ყველანაირ საკრედიტო და საბაზრო რისკებს საკუთარ თავზე იღებს მომხმარებელი. შემოსავალი სადეპოზიტო სერვისიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

### 2.3 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

### 2.4 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებები:

**ბასს 12-ის შესწორებები - „ერთი ოპერაციის შედეგად წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“**



## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.4 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძელება)

ეს შესწორების დოკუმენტი მოითხოვს, რომ ჯგუფმა მთლიანი (ბრუტო) თანხით აღიაროს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წინათ აღიარებული იყო ნეტო საფუძველზე. ეს გავლენას არ ახდენს ბალანსში ასახულ თანხებზე, ვინაიდან ეს თანხები ისევე ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება ბასს 12-ის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მე-8 შენიშვნაში ზემოაღნიშნული თანხები წარმოდგენილია ბრუტო სახით. წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემები ასევე შეიცვალა ამ შესწორებების დოკუმენტში გათვალისწინებული გარდამავალი დებულებების შესაბამისად;

#### **ბასს 12-ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.**

ზემოაღნიშნული შესწორებები ჯგუფს საშუალებას აძლევს, არ აღიაროს ის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე პილარის საგადასახადო რეფორმასთან. საგადასახადო რეფორმის (მეორე პილარის კანონმდებლობის ძალაში შესვლის) მდგომარეობის გაურკვეველი ხასიათის გამო, ჯგუფმა ვერ შეძლო ამ რეფორმის მოსალოდნელი რაოდენობრივი გავლენის შეფასება იმ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული არ იყო მიმდინარე პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინა პერიოდში არააირი თანხები არ არის აღიარებული მეორე პილარის მოდელის წესებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შესწორება.

### 2.5 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

#### **ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით.**

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, ასევე ჯგუფის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი საგალო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, თუ ვალდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ზოგიერთი ვალის კლასიფიკაციაზე და შესაძლოა სავალდებულო იყოს განმარტებით შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება არსებული კოვენანტების გავლენის შესახებ კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევე აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

#### **ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები**

ეს შესწორებები გავლენას არ იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, მაგრამ აუცილებელი იქნება განმარტებით შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება კომპანიის მიერ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

#### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

#### ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

**2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**2.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივების (გაგრძელება)**

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია გადასახდლების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირდება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

#### ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკირებას ახდენს ორ კატეგორიად:

*სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)-* ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*სხვა ფინანსური ვალდებულებები* - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### 2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### 2.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდგენიარად:

ოფისის აღჭურვილობა	20% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

### 2.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი, არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (საიმედო) შეფასება.

#### აღიარება

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ზარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

#### ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით, შემდეგნაირად:

საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფა	15 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	5-10 წელი

არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როცა შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

MONTRAN CORPORATION-სგან შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის (საკლირინგო-საანგარიშსწორების სისტემის) ამორტიზაცია დაიწყო მაშინ, როდესაც დასრულდა მისი დეველოპმენტი და შესაძლებელი გახდა აქტივის გამოყენება.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებაზე შემოწმებას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.9 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

#### არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

### 2.10 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლისათვის	2.6279	2.8416
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლისათვის	2.9156	3.0792

### 2.11 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული ღირებულების თანხიდან.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.12 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (ოურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შესრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

### 2.13 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოკეთების შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღმატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

#### ღივიდნების განაწილება

ღივიდნები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, ღივიდნები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური ღივიდნები აღიარდება გადახდისთანავე.

### 2.14 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.14 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეტენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორც კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

#### იჯარა

2016 წლის იანვარში ბასის-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

- ა) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და
- ბ) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას;

### 2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.



**სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"**

**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

**თანხები მოცემულია ლარში**

**3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები**

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის, მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელმაც შესაძლოა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

**ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

**ბ) არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა**

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, საერთაშორისო პრაქტიკასა და ბაზრის სწრაფად ცვლელად მოთხოვნებს. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

**გ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

**დ) გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის აღბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

<b>4 ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	204,880	298,376
საბანკო დეპოზიტები	69,378	65,757
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>274,258</b>	<b>364,133</b>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

**4 ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)**

2023 მანძილზე საბანკო დეპოზიტებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3,347 ლარი (2022 წელი: 3,184 ლარი).

ვალუტების მიხედვით ფული და ფულის ეკვივალენტები იხილეთ შენიშვნა 17.4-ში, ხოლო ვალუტების მიხედვით საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შენიშვნა 17.3-ში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

<b>5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
სავაჭრო მოთხოვნები	74,894	65,608
მინუს: საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(2,447)	(5,972)
<b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>	<b>72,447</b>	<b>59,636</b>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

**6 ძირითადი საშუალებები**

	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>			
<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>35,940</b>	<b>9,625</b>	<b>45,565</b>
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>35,940</b>	<b>9,625</b>	<b>45,565</b>
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>37,510</b>	<b>9,625</b>	<b>47,135</b>

*ცვეთა და გაუფასურება*

<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(34,436)</b>	<b>(8,101)</b>	<b>(42,537)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	(1,245)	-	(1,245)
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(35,681)</b>	<b>(8,101)</b>	<b>(43,782)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	(1,441)	-	(1,441)
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(37,122)</b>	<b>(8,101)</b>	<b>(45,223)</b>

*წმინდა საბალანსო ღირებულება*

<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,504</b>	<b>1,524</b>	<b>3,028</b>
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>259</b>	<b>1,524</b>	<b>1,783</b>
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>388</b>	<b>1,524</b>	<b>1,912</b>

2023 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 42,990 ლარია (2022: 41,082 ლარი). მიუხედავად ამისა, კომპანია იყენებს ზემოთ აღნიშნულ ძირითად საშუალებებს საოპერაციო საქმიანობაში.

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**7 არამატერიალური აქტივები**

	საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>			
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,157,241</b>	<b>27,176</b>	<b>1,184,417</b>
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,157,241</b>	<b>27,176</b>	<b>1,184,417</b>
<i>ცვეთა და გაუფასურება</i>			
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(180,650)</b>	<b>(22,838)</b>	<b>(203,488)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	(77,149)	(635)	(77,784)
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(257,799)</b>	<b>(23,473)</b>	<b>(281,272)</b>
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>976,591</b>	<b>4,338</b>	<b>980,929</b>
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>899,442</b>	<b>3,703</b>	<b>903,145</b>

არამატერიალური აქტივები მოიცავს MONTRAN CORPORATION-თან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასა და სხვა არამატერიალურ აქტივებს. 2018 წლის ნოემბერში MONTRAN CORPORATION-მა კომპანიას მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა არამატერიალურ აქტივად კლასიფიკაციის კრიტერიუმები და აღიარდა არამატერიალურ აქტივად. 2020 წლის სექტემბერში დასრულდა აქტივის დეველოპმენტის ბოლო ფაზა.

2023 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 20,826 ლარია (2022: 20,826 ლარი).

**8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 110,643 ლარს, რომელიც წარმოადგენს კომპანიის კრედიტორულ დავალიანებას (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,169 ლარი).

**9 საკუთარი კაპიტალი**

სააქციო კაპიტალი შედგება 10,000,000 ცალი 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე ნებადართული ჩვეულებრივი აქციისგან, საიდანაც განთავსებული ჩვეულებრივი აქციების ოდენობაა 598,910 ცალი აქცია. კომპანიას 2023 და 2022 წლის განმავლობაში ახალი აქციები არ გამოუშვა.

კომპანიის საემისიო კაპიტალი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,316,293 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა აქციონერებზე დივიდენდის გაცემა.

**კაპიტალის მართვა**

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც კომპანია განმარტავს, როგორც თავის ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ წმინდა აქტივებს) კომპანიის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარისი ბუფერი და უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დააგენეროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშგებების წარმოებით მართავს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

**9 საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)**

*კაპიტალის მართვა (გაგრძელება)*

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს" ეროვნული ბანკი უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 100,000 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" საკუთარი კაპიტალი არის 1,145,106 ლარი (2022 წელი: 1,414,265 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს. სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიკურად კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

ამასთანავე, სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს" საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის ფლობის ყველა ეტაპზე გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე ჯამურად არანაკლებ მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით. კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე. წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ნაშთი არ ყოფილა მინიმალურ კაპიტალზე (100,000 ლარი) ნაკლები და შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს.

<b>10 საკომისიო, საწევრო და სხვა საოპერაციო შემოსავლები</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
შემოსავალი კასტოდინური მომსახურებიდან	749,008	567,956
საკომისიო შემოსავალი	46,217	35,557
კასტოდინის და ბროკერების საწევრო გადასახადი	19,200	12,136
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12,011	12,169
<b>სულ საკომისიო, საწევრო და სხვა საოპერაციო შემოსავლები</b>	<b>826,436</b>	<b>627,818</b>

<b>11 ხელფასის ხარჯი</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
ხელფასი	392,193	366,906
პრემია	30,561	27,183
საპენსიო შენატანის ხარჯი	7,996	7,688
<b>სულ ხელფასის ხარჯი</b>	<b>430,750</b>	<b>401,777</b>

**12 იჯარის ხარჯი**

იჯარის ხარჯი 2023 წელს შეადგენდა 42,173 ლარს (2022 წელს: 20,847 ლარი).

**13 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)**

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებებ ი	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	3,236	211	-	<b>3,447</b>
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(5,396)	(150)	(441)	<b>(5,987)</b>
<b>2023 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)</b>	<b>(2,160)</b>	<b>61</b>	<b>(441)</b>	<b>(2,540)</b>

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**13 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი) (გაგრძელება)**

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებებ ი	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	8,996	327	-	<b>9,323</b>
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(23,948)	(121)	(86)	<b>(24,155)</b>
<b>2022 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)</b>	<b>(14,952)</b>	<b>206</b>	<b>(86)</b>	<b>(14,832)</b>

<b>14 სხვა საოპერაციო ხარჯი</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა	215,942	69,304
დაზღვევის ხარჯი	9,041	7,670
პერსონალის ტრენინგი	1,958	6,418
კომუნალური ხარჯები	6,474	2,328
მივლინების ხარჯები	1,777	1,373
დასუფთავების და მომსახურების ხარჯი	2,495	1,039
ბანკის საკომისიო	648	444
კომუნიკაციის ხარჯი	292	166
კომპიუტერის ხარჯი	553	146
სხვა ხარჯები	2,494	1,182
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>241,674</b>	<b>90,070</b>

**15 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე**

ჩვეულებრივ შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგების / (ზარალის) და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
წმინდა შემოსავალი / (ზარალი), რომელიც ექვემდებარება საერთო აქციონერებ	29,846	11,350
მოგება / (ზარალი) მიმდინარე წლისთვის	29,846	11,350
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	598,910	598,909
<b>ბირთაღი</b>	<b>0.05</b>	<b>0.02</b>

**16 პირობითი ვალდებულებები**

**16.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

**16 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**16.1 დაბეგვის გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)**

ზემოხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ**

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
<b>ფინანსური აქტივები</b>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	274,258	364,133
სავაჭრო მოთხოვნები	72,447	59,636
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>346,705</b>	<b>423,769</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
სავაჭრო ვალდებულებები	110,643	2,169
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>110,643</b>	<b>2,169</b>

**17.1 საკრედიტო რისკი**

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
ფული განთავსებული საბანკო ანგარიშებზე	274,258	364,133
სავაჭრო მოთხოვნები	72,447	59,636
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>346,705</b>	<b>423,769</b>

**სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"**

**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

**თანხები მოცემულია ლარში**

**17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)**

**17.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

როგორც შენიშვნა 4 განმარტავს, ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცელების დღეების მიხედვით.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება**

კომპანია იყენებს გაუფასურების 3-დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ;
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად;
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარების 12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ) არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჯი	(გაუფასურებული აქტივი) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2022 წლის დასაწყისში, ასევე 2022 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცელებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცელების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცელებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცელების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	> 180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

**17.2 ლიკვიდურობის რისკი**

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

17.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	274,258	-	-	274,258
სავაჭრო მოთხოვნები	72,447	-	-	72,447
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>346,705</b>	-	-	<b>346,705</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
სავაჭრო ვალდებულებები	110,643	-	-	110,643
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>110,643</b>	-	-	<b>110,643</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>236,062</b>	-	-	<b>236,062</b>

ლიკვიდურობის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	364,133	-	-	364,133
სავაჭრო მოთხოვნები	59,636	-	-	59,636
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>423,769</b>	-	-	<b>423,769</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
სავაჭრო ვალდებულებები	2,169	-	-	2,169
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,169</b>	-	-	<b>2,169</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>421,600</b>	-	-	<b>421,600</b>

დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

17.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიური %-ში	31-დეკ-2023		31-დეკ-2022	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	3%	0.75%	3%	0.75%

17.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უცხოურ ვალუტაში ჰქონდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები:



სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)**

**17.4 სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	15,359	<b>15,359</b>
<b>სულ</b>	<b>15,359</b>	<b>15,359</b>

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	98,335	<b>98,335</b>
<b>სულ</b>	<b>98,335</b>	<b>98,335</b>

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგრის შემდგომ მოგებას 1,536 ლარით (2022: 9,833 ლარით).

**18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშგაღებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშგაღებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგაღებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგაღებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშგაღებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშგაღებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშგაღებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშგაღებული საწარმოს, ან ანგარიშგაღებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმასხვრციელებელი. თუ ანგარიშგაღებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმასხვრციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშგაღებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

**18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ: სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" და სს "თბილისის საფონდო ბირჟა".

<b>შემოსავალი</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
შემოსავალი დამფუძნებლებისგან	12,000	12,000
შემოსავლები სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	708,678	549,226
<b>ზარჯი</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
სხვა დაკავშირებული მხარეები	726	2,182
<b>ხელმძღვანელობის ანაზღაურება</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
ხელფასი და პრემია	207,569	196,302
<b>ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან</b>	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
ძირითადი აქციონერები	1,000	1,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	55,811	54,173
<b>ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთი</b>	<b>31-დეკ-2023</b>	<b>31-დეკ-2022</b>
სს საქართველოს ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები	5,668	40,095
სს თიბისი ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები	195,618	255,688

**19 საწარმოს უწყვეტობის განხილვა**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

**20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

\*\*\*\*\*